პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 119 მუხლის 3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაბოლქვში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას ან ვიზუალური დათვალიერების ტესტის გავლის შედეგად აღმოაჩნდება შეფერილი გამონაბოლქვი - გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით;

2. 119 მუხლს დაემატოს 4^1 ნაწილი:

ამ მუხლის მე-3 და ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირისთვის 100 ლარის, ხოლო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში 300 ლარის ოდენობით.

3. 119 მუხლს დაემატოს 4^2 ნაწილი:

ამ მუხლის მე-3 და ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მესამედ და ყოველ შემდეგ შემთხვევაში ჩადენა 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირისთვის 300 ლარის, ხოლო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში 1000 ლარის ოდენობით.

119 მუხლის „შენიშვნა"-ს დაემატოს 3^1 პუნქტი:

ამ მუხლის მიზნებისთვის ვიზუალური დათვალიერების ტესტი გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების შემოწმებას ძრავის უქმი სვლის რეჟიმში 5 წამის

განმავლობაში, ან ძრავის წუთში 2500-3000 ბრუნზე მუშაობისას. შემოწმებას ვერ გაივლის ავტომობილი, რომელსაც უფიქსირდება ვიზუალურად ხილული შავი, ლურჯი ან ნაცრისფერი შეფერილობის გამონაბოლქვის გამოფრქვევა.

მუხლი 2: ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი